ქ. თბილისი **21 დეკემბერი 2016 წ.**

ერთი მხრივ **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო,** (შემდგომში, „გამყიდველი") წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ბექა პაპაშვილის (პ/ნ 01027066763) მიერ, მოქმედი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" თავმჯდომარის მიერ 2016 წლის 29 იანვარს გაცემული №4/4315 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, და

მეორე მხრივ **შპს „სისტემ ნეტ"** (ს/ნ 205267423) (შემდგომში, „მყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ილია ინჯიას (პ/ნ 01007000232) მიერ,

შემდგომში, „გამყიდველი" და „მყიდველი" ინდივიდუალურად მოიხსენიება როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების, „ქალაქ თბილისში, გორგასლის შესახვევში, N5-ში მდებარე 17313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1-N10 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 27 ოქტომბრის №1/1-3584 ბრძანებისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 17 ნოემბერს გამართულ №805 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დადასტურების (№2016102660993) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება").

მუხლი 1. დეფინიციები

ბრძანება - „ქალაქ თბილისში, გორგასლის შესახვევში, N5-ში მდებარე 17313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1-N10 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 27 ოქტომბრის №1/1-3584 ბრძანება.

ელექტრონული აუქციონის დასრულების თარიღი - 2016 წლის 17 ნოემბერი, როდესაც „მყიდველმა" გაიმარჯვა „ბრძანების" საფუძველზე გამოცხადებულ №805 ელექტრონულ აუქციონში.

ქონება - ქალაქ თბილისში, გორგასლის შესახვევში, N5-ში მდებარე 17313.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1-N10 შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი №01.18.09.001.008).

საპრივატიზებო თანხა - თანხა, რომელიც შედგება საპრივატიზებო შემოსულობისა და „გამყიდველის" ანაზღაურებისგან და რომლის ოდენობაა 5 037 000 (ხუთი მილიონ ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი.

საჯარო რეესტრი - სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო".

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „გამყიდველი" „მყიდველს" გადასცემს „ქონებაზე" საკუთრების უფლებას „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

2.2. „მყიდველისთვის" ცნობილია „ქონების" მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, „ქონებაზე" რეგისტრირებული („ქონებაზე" განცხადების რეგისტრაციის N882016739104, თარიღი: 26/10/2016) შეზღუდული სარგებლობის (სერვიტუტის) უფლების შესახებ და მას არ გააჩნია პრეტენზია.

მუხლი 3. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

3.1. „მყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს „საპრივატიზებო თანხა", „ელექტრონული აუქციონის დასრულების თარიღიდან" არაუმეტეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2. „მყიდველმა" „საპრივატიზებო თანხის" გადახდა უნდა განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

3.3. „ხელშეკრულების" 3.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი" წერილობით აცნობებს „მყიდველს".

3.4. „მყიდველმა" „საპრივატიზებო თანხის" გადახდისას უნდა მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ერთ-ერთი რეკვიზიტი იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა.

3.5. „მყიდველის" მიერ გადახდილი „ბე"-ს თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.6. „საპრივატიზებო თანხა" „მყიდველის" მიერ გადახდილად მიიჩნევა შესაბამის საბანკო ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

მუხლი 4. „მხარეთა" უფლება-მოვალეობები

4.1. „მყიდველი" ვალდებულია:

4.1.1. პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით უზრუნველყოს „ხელშეკრულების" გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში „ქონებაზე" ან მის ნაწილზე სასტუმროს (არანაკლებ 120 (ას ოცი) ნომრის მქონე) შექმნა (მათ შორის: ექსპლუატაციაში მიღება, აღჭურვა, ფუნქციონირების დაწყება, სასტუმროს ინფრასტრუქტურის მოწყობა (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) „ქონების" ან/და მისი ნაწილის შემოღობვას, ეზოს გამწვანებასა და გარე განათებას);

4.1.2. პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით უზრუნველყოს „ხელშეკრულების" 4.1.1. მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება;

4.1.3. „ხელშეკრულების" 4.1.1. მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს „ხელშეკრულების" 5.5. მუხლით განსაზღვრული შესაბამისი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა;

4.1.4. „ხელშეკრულების" 4.1.2. მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს „ხელშეკრულების" 5.5. მუხლით განსაზღვრული შესაბამისი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა;

4.1.5. დაიცვას „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები და „გამყიდველის" მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს" წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

4.1.6. დაფაროს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებებისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი.

4.2. „გამყიდველი" ვალდებულია, „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში

წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „საჯარო რეესტრში" შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

მუხლი 5. „ხელშეკრულების" განსაკუთრებული პირობები

5.1. „მყიდველს" „ქონებაზე" საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების" „საჯარო რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან, ამასთან, „ქონებაზე" საკუთრების უფლება „მყიდველს" გადაეცემა „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

5.2. „ქონებაზე" საკუთრების უფლებასთან ერთად „საჯარო რეესტრში" რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის „საპრივატიზებო თანხის" გადახდის ვალდებულება.

5.3. „მყიდველს" „ქონება" მფლობელობაში გადაეცემა საკუთრების უფლების „საჯარო რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან.

5.4. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის" მიერ მათი შესრულების წერილობით ან ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან. ამასთან, ელექტრონულად შესაძლებელია დადასტურდეს მხოლოდ „ხელშეკრულების" 3.1. მუხლში მითითებული ვალდებულების შესრულება.

5.5. „ხელშეკრულების" 4.1.1. და 4.1.2. მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება განხორციელდება:

ა) შესაბამისი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს:

ა.ა) 2017 წლის 1 იანვრიდან - 2018 წლის 1 იანვრამდე „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში" (შემდგომში - „ნუსხა") მითითებული ერთ-ერთი აუდიტორული ფირმის მიერ, რომელსაც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე მიენიჭა დროებითი უფლებამოსილება;

ა.ბ) 2018 წლის 1 იანვრიდან - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ.

ბ) გარდა ამ მუხლის (5.5. მუხლის) „ა.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, „ნუსხაში" მითითებული ნებისმიერი აუდიტორული/საექსპერტო კომპანიის მიერ 2017 წლის 1 მარტამდე გაცემული აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ნუსხაში" მითითებულ შესაბამის აუდიტორულ/საექსპერტო კომპანიასა და „მყიდველს" შორის ამავე აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის მომზადების თაობაზე ხელშეკრულება დადებულია 2017 წლის 1 იანვრამდე. ამასთან, „მყიდველის" მიერ ამ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების თაობაზე.

5.6. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველის" მიერ „ქონების" გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია, „ქონება" ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით". ახალი მესაკუთრე სრულად ჩაენაცვლება „მყიდველს" „ხელშეკრულებაში". „ქონების" გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს".

5.7. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველის" მიერ „ქონების" ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია „ქონების" ნაწილი ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებით". ამასთან, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან" ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. „ქონების" ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს".

5.8. „მყიდველი" უფლებამოსილია, „გამყიდველის" წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, იპოთეკით დატვირთოს „ქონება". ამათან, „ქონების" იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მყიდველის" ვალდებულებები.

5.9. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" გადახდამდე, „მყიდველს" არ აქვს უფლება „ქონება" განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს „ხელშეკრულების" 5.8. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

5.10. „ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველს" უფლება არ აქვს „გამყიდველთან" შეთანხმების გარეშე „ქონება" გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს.

5.11. „მყიდველი“ არ თავისუფლდება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული მესამე პირ(ებ)ის იმ ქმედებ(ებ)ისათვის, რამაც გამოიწვია აღნიშნული ვალდებულებების დარღვევა.

მუხლი 6. საბანკო გარანტია

6.1. „მყიდველის“ მიერ წარმოდგენილი სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ 204854595) მიერ 2016 წლის გაცემული №1944249-8657199 საბანკო გარანტია (სააგენტოში რეგისტრაციის №100015/ფ, 13.12.2016) უზრუნველყოფს „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ 3.1., 4.1.1. და 4.1.2. მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებასა და ამავე ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

6.2. „მყიდველმა“ საბანკო გარანტიის თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 (ერთი) თვის ვადაში უნდა შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

6.3. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, „გამყიდველის“ მხრიდან, ხელშეკრულების 7.8. მუხლის შესაბამისად, „ხელშეკრულების“ მოშლის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 7. „მხარეთა” პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების” შეწყვეტა

7.1. „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი” იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.

7.2. „ხელშეკრულების“ 3.1. მუხლით განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. „ხელშეკრულების” 4.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.4. „ხელშეკრულების” 4.1.2. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.5. „ხელშეკრულების” 4.1.3. ან/და 4.1.4. მუხლებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“

თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანის შესრულებისთვის ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.6. „ხელშეკრულების" 4.1.5. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

7.7. „ხელშეკრულების" 6.2. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.8. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში „გამყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება". ასეთ შემთხვევაში, „ქონება" ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში. „მყიდველს" არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები. ხოლო, „ქონებაზე" რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

7.9. „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს" „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. „მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის" ან „მყიდველის" კონტროლის ფარგლებს, შესაბამის „მხარეს" არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა, თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მოვლენით.

8.2. „მხარე", რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს" ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე" კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან

არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების" მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

8.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

8.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, "მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების" შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 9. შეტყობინებები

9.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს" შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნას პირადად ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

9.2. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის „მხარეთა" რეკვიზიტებია:

9.2.1. **„გამყიდველის" შემთხვევაში:**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მისამართი: ჭოველიძის ქ. №10ა, (ყოფილი ბელინსკი), ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 298 11 11; +995 32 299 11 11

9.2.2. **„მყიდველის" შემთხვევაში:**

შპს „სისტემ ნეტ"

მის: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., N42

ტელ: +995 577 135 555

ელ-ფოსტა: systemnet@systemnet.ge

9.3. „მყიდველი" ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს" მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ

შემთხვევაში, „გამყიდველის" მიერ „მყიდველის" ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

9.4. „ხელშეკრულების" 9.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ „გამყიდველის" მიერ „მყიდველის" მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება ვერ განხორციელდა ზედიზედ ორჯერ, კორესპონდენცია ჩაითვლება „მყიდველისათვის" ჩაბარებულად მისი „გამყიდველისათვის" ხელმეორედ დაბრუნების დღიდან.

მუხლი 10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

10.1. „ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. „მხარეთა" შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. სხვა დებულებები

11.1. „ხელშეკრულებაში" ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა დასაშვებია „მხარეთა" წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება, როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება ამ „ხელშეკრულებას", როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

11.2. „ხელშეკრულების" ყველა ცვლილება/დამატება ან/და დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მისთვის დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის".

11.3. სათაურები „ხელშეკრულებაში" მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

11.4. „ხელშეკრულება" გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს" და „საჯარო რეესტრს".

11.5. „ხელშეკრულება" გაფორმებულად ითვლება „მხარეთა" მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან

„გამყიდველი"	„მყიდველი"
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"	შპს „სისტემ ნეტი"
წარმომადგენელი:	წარმომადგენელი:
ბექა პაპაშვილი	ილია ინჯია

დანართი:

„მყიდველის" მიერ ანგარიშსწორებისას მისათითებელი რეკვიზიტები:

1. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
2. მხარის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი
3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი

KA021753024845218

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/52492

20 / სექტემბერი / 2018 წ.

შპს „სისტემ ნეტს“
მის: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N42

თქვენი 2018 წლის 07 სექტემბრის N02/125 (სააგენტოს რეგისტრ. N93703/04) და 2018 წლის 19 სექტემბრის N02/140 (სააგენტოს რეგისტრ. N97861/04) წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) არ არის წინააღმდეგი მოახდინოთ N01.18.09.001.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე მდებარე N1-N10 შენობა-ნაგებობების დემონტაჟი მას შემდეგ, რაც სააგენტოში წარმოადგენთ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 25 მაისის N002986516 დასკვნის გათვალისწინებით, N1-N8 შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულების ოდენობის საბანკო გარანტიას, კერძოდ 178 970 ლარის ოდენობით.

ამასთან, აღნიშნული საბანკო გარანტია უნდა უზრუნველყოფდეს სააგენტოსა და შპს „სისტემ ნეტს“ (ს/კ N205267423) შორის 2016 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, ამავე ხელშეკრულების მოშლის და მის საფუძველზე გადაცემული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების შემთხვევაში, დემონტაჟის საფუძველზე სახელმწიფოს მიმართ დამდგარი ზიანის ანაზღაურებას და მისი მოქმედების ვადა განსაზღვრულ უნდა იყოს არანაკლებ 2020 წლის 5 თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე თანხმობა ძალაშია მხოლოდ ზემოხსენებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

ხელმოწერილია ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

თინათინი ჩაჩანიძე

შემოსვლის № 02/109
„ 24/09 – 2018 წ.

№ 02/151
01.10.2018წ.

et.
system
სისტემა

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

თავმჯდომარეს ქ-ნ ეკატერინე სისაურს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2018 წლის 20 სექტემბრის #4/52492 წერილის თანახმად, წარმოგიდგენთ მოთხოვნილ საბანკო გარანტიას თანხაზე - 1 170 000 (ერთი მილიონ ასსამოცდაათი ათასი) ლარი (დანართი #1).

დანართი: 1 ფურცლად

1. საბანკო გარანტია (დედანი)

პატივისცემით,

დირექტორი ილია ინჯია

სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო
ჩავიბარე
«01» 10 2018 წ.

საქართველო, თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას ქ.42.
42. A.Politkovskaia Str.,Tbilisi, 0186, Georgia
Phone: +995 32 277 95 22
Fax: +995 32 2 32 33 33

ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება, ექსპერტიზა"

ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. მე-6 კორპ. ბ.14
ტ. 593 25-19-71 232–88–15 e-mail – r.makhviladze@mail.ru

№01-45/18 27 აგვისტო 2018 წელი

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის შესახვევში №5 ს.კ. 01.18.09.001.008 ნაკვეთზე მდებარე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის თაობაზე

1. საერთო ნაწილი

აღნიშნულ მისამართზე ბატონ ტარიელ სტურუას მიერ (შპს „სტურგრუპი") შედგენილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა და 2018 წლის 21 აგვისტოს მიიღო შუალედური გადაწყვეტილება №4127492, რომლის მიხედვითაც მოითხოვა აღნიშნულ დოპ-ზე საექსპერტო დასკვნის წარდგენა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სადემონტაჟო ობიექტი „მრავალსართულიანი და მრავალადგილიანი ავტოსადგომი" IV კლასის შენობა-ნაგებობას მიეკუთვნება.

სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

- მიწის ნაკვეთის ფართობი. . . . . 17313,0 მ^2
- საერთო ფართობი. . . . . 21478,5 მ^2
- სამშენებლო მოცულობა. . . . . 62910,0 მ^3
- 0,00 ნიშნულის ზევით . . . . . 54000,0 მ^3
- 0,00 ნიშნულის ქვევით. . . . . 8910,0 მ^3
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე. . . . . 26,0 მ
- 0,00 ნიშნულის ზევით . . . . . 23,0 მ
- 0,00 ნიშნულის ქვევით. . . . . 3,0 მ

დამკვეთმა საექსპერტო დასკვნის შედგენის საჭიროებით გადმომცა:

- ობიექტზე შენობა-ნაგებობათა დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი (დოპ).
- ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შუალედური გადაწყვეტილება №4127492;
- ტოპოგეგმა და აზომვითი ნახაზები;
- კონსტრუქტორ ოთარ ქვრივიშვილის საექსპერტო დასკვნა სადემონტაჟო ობიექტების ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით;

2. არსებული მდგომარეობა

საექპერტო დასკვნის შედგენის საჭიროებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლასთან ერთად ადგილზე დავათვალიერე სამშენებლო მოედანი, მოვახდინე მისი და გარემომცველი ობიექტების ფოტო-ფიქსაცია. ფოტო-მასალა ჩაკრულია დასკვნის ბოლო გვერდებზე.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.18.09.001.008 განთავსებულია ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან ამავალ შესახვევში. აქ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ფუნქციონირებდა შვიდ სართულიანი გარე კონტურზე 74 მეტრი და შიდა კონტურზე 44 მეტრის დიამეტრის მრგვალი ფორმის ავტოფარეხი.

ტოპო-გეგმაზე დატანილია შემდეგი ძირითადი დამხმარე დანიშნულების ობიექტები: გარაჟის შვიდსართულიანი შენობა, დაცვის ჯიხური, საწვავის მომწოდებელი სადგურის სამართავი ოთახი, სატრანსფორმატორო ქვესადგური, ორი დამხმარე დანიშნულების შენობა, წყლის დეკორატიული აუზი.

ძირითად შვიდსართულიან მრგვალი ფორმის შენობას გააჩნია ერთსართულიანი მინაშენი და წრიული ფორმის შიდა ეზო დიამეტრით 44 მეტრი. შენობა აგებულია რკინაბეტონის მონოლითურ და ასაწყობ კონსტრუქციებში. წრიული კარკასი ამოყვანილია მონოლითურ წერტილოვან საძირკვლებში და მათ შემკრავ საძირკვლის კოჭებში, სვეტებში და რიგელებში, გადახურვები მოწყობილია ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით. მანქანების ასასვლელი წრიული პანდუსები მონოლითური რკინაბეტონითაა მოწყობილი.

ტოპოგეგმაზე მონიშნული დარჩენილი შენობა-ნაგებობები ერთსართულიანია აგებულია მზიდი აგურისა ან ბეტონის ბლოკოვანი კედლებით, დახურულია ღრუტანიანი ან წიბოვანი რკინაბეტონის ასაწყობი ფილებით.

დეკორატიული აუზი მონოლითური რკინაბეტონისაა. ჩრდილოეთის მხრიდან ორმალიანი ტერასაა მოწყობილი, შედგება მონოლითური სვეტებისაგან და კოჭებისაგან, გადახურულია ღრუტანიანი ფილებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტუგრუპი"-ს მთავარმა კონსტრუქტორმა ბატონმა ოთარ ქვრივიშვილმა შეისწავლა არსებული შენობა-ნაგებობების ფიზიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობა. მის მიერ შედგენილ საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია: „დაცვის ჯიხურის გარდა ამჟამად არცერთი შენობა არ ქუნქციონირებს. მრავალი წლის მანძილზე ისინი განიცდიდნენ ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებას. სახურავის იზოლაციის ამორტიზირებულობის გამო წვიმის წყალი სისტემატიურად ჩაედინება შენობის შიდა სივრცეში, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი კოროზიული პროცესები განვითარდა შენობის მზიდ კონსტრუქციებში.

მთავარ შენობაშიც ძირითადი მზიდი კონსტრუქციების დიდი ნაწილი ამჟამად ამორტიზირებულია. შენობის მზიდუნარიანობის მონაცემები აღარ შეესაბამება საქართველოში მომქმედი სესმიური რეგულაციების თანამედროვე მოთხოვნილებებს".

აღნიშნულიდან გამომდინარე დამკვეთმა გადაწყვიტა შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და გამოთავისუფლებულ ნაკვეთზე თანამედროვე მოტხოვნილებების შესატყვისი სამშენებლო კომპლექსის აგება.

3. დემონტაჟის ორგანიზების (დოპ) პროექტის საექსპერტო შეფასება

დოპ-ი შედგენილია შპს „სტუგრუპის" მიერ, ავტორია ინჟინერი ტარიელ სტურუა. დოპ-ი შედგება შვიდი პარაგრაფის, სადემონტაჟო გენგეგმისა და სადემონტაჟო სქემით დასათაურებული ორი ნახაზისაგან, აგრეთვე

წარმოდგენილია სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკიც ცალკეული სადემონტაჟო პროცესების განხორციალებაზე.

ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი დაგეგმილია 5 თვის პერიოდში.

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შედგენილია მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ძირითად საფუძველს წარმოადგენს სნ და წ 3.01.01-85* „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია". დახასიათებული სადემონტაჟო ობიექტები დადგენილია სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების 5 თვის პერიოდი, განსაზღვრულია სამუშაოთა რიგითობა და ეტაპები, განსაზღვრულია სამუშაოთა ძირითადი მეთოდები, შერჩეულია სამშენებლო მანქანები, მექანიზმები, ინსტრუმენტები და ტრანსპორტი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების პერიოდში შრომის, ელექტრო, ხანძარუსაფრთხოების ღონისძიებათა დაცვას, განსაკუთრებით სიმაღლეზე მუშაობის პერიოდში.

4. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნი:

4.1. ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასალის შესახვევში №5 შენობა-ნაგებობათა დემონტააჟის ორგანიზების პროექტი შედგენილია სნ და წ 3.01.01.-85* „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებათა სრული მოცულობით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვას მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე საქარველოს მთავრობის მიერ გამქვეყნებული დადგენილებების შესაბამისობით, სახელდობრ:

- სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება №361 – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ";

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №447 – „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნილებების შესახებ".

4.2. აღნიშნულ მისამართზე არსებულ შენობა-ნაგებობათა ტექნიკურ მდგომარეობაზე კონსტრუქტორ ოთარ ქვრივიშვილის საექსპერტო დასკვნაში ასევე დასაბუთებული და დადასტურებულია ნაკვეთზე ს.კ. 01.18.09.001.008 ექსპლუატაცია დაქვეითებულ შენობა-ნაგებობათა დემონტაჟის აუცილებლობა.

4.3. ჩემს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო კვლევის მასალები უფლებას მაძლევს ავღნიშნო, რომ დემონტაჟის ორგანიზების პროექტი თავისი მოცულობით შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 35-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნილებებთან და რეკომენდაციას ვუწევ ექსპერტიზით განხილულ ნაკვეთზე ს.კ. 01.13.09.001.008 სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების დემონტაჟს კალენდარული გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში.

4.4. დასკვნას თან ერთვის ფოტო მასალა სამშენებლო მოედანზე არსებული მდგომარეობის ასახვით.

ექსპერტი: სამუშაო სტაჟი 1960 წლიდან,
საექსპერტო სტაჟი 1978 წლიდან,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, საქართველოს საინჟინრო
აკადემიის ნამდვილი წევრი
(აკადემიკოსი)

რევაზ მახვილაძე

დასკვნას აგრეთვე თან ერთვის ჩემზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის პროფესორ რევაზ მახვილაძეზე შრომითი, საინჟინრო, საპროექტო, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საექსპერტო მოღვაწეობაზე დოკუმენტაციის ნუსხა.



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი

GEORGIAN TECHNICAL
UVIVERSITY

FACULTY OF CIVI L
ENGINEERING

Phone: (995 32) 33 17 87
36 61 01; 36 65 42
Fax: (99532) 33 17 87

075, საქართველო, თბილისი, კოსტავას 68;
68, Kostava str., Tbilisi, Georgia, 075

№ 126
15 06 2016 წ.

ც ნ ო ბ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ მახვილაძე 1978 წლიდან მუშაობს სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის დეპარტამენტში. 1960 წლიდან ეწევა საპროექტო საქმიანობას. 1978 წლიდან ითვლება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მშენებლობის ხარისხისა და მონიტორინგის ექსპერტად. არის 11 სახელმძღვანელოს ავტორი უძრავი ქონების შეფასების, მშენებლობაში ფასწარმოქმნის, მშენებლობის ორგანიზაციისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ხაზით, არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). თავისი მოვალეობის შესრულებას ეკიდება პასუხისმგებლობით. სამშენებლო საქმიანობაში ითვლება წამყვან ექსპერტად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №11/823 „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტირების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურევი 10 წლის სტაჟი, აგრეთვე საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტი ბეტონი რევაზ მახვილაძე სრულად აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნული ბრძანების დანართ 1-ში ჩამოთვლილ მოთხოვნილებებს.

სამშენებლო ფაკულტეტის
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დავით გურგენიძე

საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

GEORGIAN
TECHNICAL
UNIVERSITY

Phon: (995 32) 365093
Fax: (995 32) 942033
www.gtu.edu.ge
info@gtu.edu.ge

0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77
77, Kostava str., Tbilisi, Georgia, 0175

„01" აგვისტო 2016

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის რევაზ მახვილაძისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №11/823 „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურევი 10 წლის სტაჟი, აგრეთვე საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულ პირობებს სრულად აკმაყოფილებს სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრის გამგის მოადგილე სამეცნიერო დარგში პროფესორი რევაზ მახვილაძე დანართ №1-ში ჩამოთვლილი 1, 2 და 3 პუნქტების შესატყვისობით, სახელდობრ

- სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობები;
- სამრეწველო შენობა-ნაგებობები;
- სივრცითი ნაგებობები (ანძები, კოშკები, რეზერვუარები).

ბატონი რევაზ მახვილაძე საპროექტო ორგანიზაციებში კონსტრუქტორად მოღვაწეობს 1960 წლიდან, რაც კარგად ჩანს მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან. ამჟამადაც არა მარტო საკონსტრუქტორო საქმიანობაში, არამედ მთლიანად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაშიც აქტიურადაა ჩაბმული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ მახვილაძე სამშენებლო ფაკულტეტზე მუშაობს 1978 წლიდან სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კათედრის გამგის მოადგილედ.

1960-64 წლებში მუშაობდა სახულმწიფო საპროექტო ინსტიტუტებში საქშახტაპროექტსა და საქსახპროექტში. იყო ინჟინერ-კონსტრუქტორი, შემდეგ უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი და ჯგუფის ხელმძღვანელი. 1965-71 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში და შემდეგ მუშაობდა უმცროს მეცნიერ მუშაკად ქ. მოსკოვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის აკადემიაში. იქვე 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამშენებლო კონსტრუქციებში.

1972-77 წლებში იმუშავა საქართველოს ტერიტორიალურ საპროექტო ინსტიტუტ საქსახპროექტში ტექნიკური განყოფილების უფროსად, 1977-78 წლებში საპროექტო ინსტიტუტ საქკომუნმშენპროექტში არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილების გამგედ, 1978 წლის სექტემბრიდან დღემდე მოღვაწეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

1978-90 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ საექსპერტო სამმართველოსთან და საქართველოს მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ საექსპერტო სამმართველოსთან, ითვლებოდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დაკუმენტაციის ექსპერტად, ხელმძღვანელობდა საექსპერტო ჯგუფს. ასევე 1998-2005 წლებში ჩაბმული იყო საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს პროექტების ექსპერტიზის სამმართველოს საქმიანობაში.

ბატონი რევაზ მახვილაძე არის 96 სამეცნიერო შრომისა და 6 სახელმძღვანელოს ავტორი სამშენებლო პრობლემატიკის საკითხებზე.

გარდა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობისა 1969 წლიდან დაწყებული აქტიურადაა ჩაბმული საინჟინრო-საპროექტო საქმიანობაში. მრავალმხრივია მისი საქმიანობის სფეროც: არის კონსტრუქტორიც, ხარჯთაღმრიცხველიც და მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სპეციალისტიც. მას კარგად იცნობს საინჟინრო საზოგადოება და ჯეროვნად აფასებს მის ცოდნას და გამოცდილებას.

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ბატონ რევაზს პირადად შესრულებული აქვს ათობით საპროექტო დოკუმენტაცია, ასევე როგორც პროექტის მთავარი ინჟინერი ხელმძღვანელია მრავალი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა როგორც სამრეწველო, ასევე საცხოვრებლო ობიექტების სახით 1969 წლიდან ვიდრე დღემდე. ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატიდან დაწყებული და დამთავრებული ამჟამად დაპროექტებაში მყოფი ქ. თბილისში კვალის ქუჩაზე საოფისე შენობით, რომელიც მიწის ზედით 10 სართულიანი და მიწაში ჩაღრმავებული 4 სართულით.

1984-87 წლებში მუშაობდა ალჟირის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორად. მანამდე იყო "თბილქალაქპროექტის" ინჟინერ-კონსტრუქტორი, შემდეგ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. იქვე 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამშენებლო კონსტრუქციებში. 1974 წლიდან აქვს სამეცნიერო წოდება გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების განხრით.

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა ბატონი გივი დანელია აქტიურადაა ჩაბმული საინჟინრო-საპრექტო საქმიანობაში. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მას პირადად შესრულებული აქვს ათობით პროექტი როგორც სამრეწველო, ასევე სამოქალაქო და ჰიდროტექნიკური ობიექტების სახით, მონაწილეობს შენობა-ნაგებობების დაზიანებათა კვლევაში და მათი გამაგრების ღონისძიებების შემუშავებაში.

1988-90 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ საექსპერტო სამმართველოსთან, ითვლებოდა ექსპერტად გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების განხრით. 2006 წლიდან არის განათლების სამინისტროს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის ექსპერტი.

ბატონი გივი დანელია ითვლება მცოდნე და ერუდირებულ სპეციალისტად სამშენებლო დარგში, მას ხშირად იწვევენ სამშენებლო-საპროექტო ფირმები როგორც საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად, ასევე სამშენებლო-ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად მშენებლობაზე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევთ პროფესორ გივი დანელიას მისთვის ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭებაზე.

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის
დეკანი, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ზურაბ გედენიძე

GEO

საქართველო



სახელი / FIRST NAME
რევაზ
REVAZ
გვარი / LAST NAME
მახვილაძე
MAKHVILADZE
მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No
GEO | მ / M | 01020001893
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH
08.05.1937
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY
30.12.2023
ბარათის No / CARD No
13IC85570
ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
30.12.2013
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დოკუმენტის სარ, დამამზადებელი MB-IDS 02/13
სტან. ავტორიზაციის No 26-3184

IDGE013IC85570301020001893<<<<
3705085M2312307GE0<<<<<<<<<<<6
MAKHVILADZE<<REVAZ<<<<<<<<<<<<

Трудовая книжка

Фамилия Махвилаадзе

Имя Ревез

Отчество Леонидович

Год рождения 1937

Образование: начальное, среднее, высшее
(подчеркнуть)

Профессия Инженер строитель

Подпись владельца Трудовой книжки

Р. Махвилаадзе

Дата заполнения Трудовой книжки

«12» октября 1960 г.

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ п/п	Дата: год	Дата: месяц	Дата: число	Сведения о приеме на работу, перемещениях по работе и увольнении (с указанием причин)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1	2			3	4
				До поступления в школах с 1955 г. по 1960 год средней школы, технического института	
				Инженер-строитель "Гидроэнергопроект"	
1	1960	VIII	29	Зачислен в отдел эксплуатации гидроэлектростанций инженером	Приказ № 12 от 30/VIII
2	1963	I	1	Назначен старшим инженером ОЭГЭ	Приказ № 10 от 29/I
3	1964	I	1	В связи с ликвидацией Совета Министров Грузинской ССР № 718 от 18/XI-63 г. переведен в Министерство энергетики и электрификации Грузинской ССР	Приказ № 156 от 22/XII

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: год	Дата: месяц	Дата: число	Сведения о приеме на работе и увольнении	3	4
1	2					
				ГПИ „Грузгосирой."		
4	1964	I	1	Назначается	сп. инж. констр.	пр. №18 от 11-I-1964г.
5	1965	IX	1	Переведен на	должность груп-	пр. 151
				нового инж.	строй отдела №2	от 10/IX-65
6	1965	XII	13	Освобожден от	работы в связи	Ф/рик 212
				с переходом на	ем в аспиран-	от 9/XII-65г.
					по карам	
					/Бабич/	

4 5

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: год	Дата: месяц	Дата: число	Сведения о приеме на работе и увольнении	работу, перемещениях по (с указанием причин)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1	2				3	4
7	1965	XII	13	Зачислен в очную аспирантуру	по специальности „Городское	Пр. 157 от
				по специальности „Городское	строительство".	27. XI-1965г.
8	1970	01	01	Отчислен из	аспирантуры АКХ	Пр. 136
				в связи с окончанием	срока обучения.	от 12/XI-69г.
				Зав. аспирантурой	/Д. Зезюлина/	
				Академия комму	нального хозяйства	
9	1970	01	01	В связи с окон	чанием срока аспи-	Пр 6/к
				рантуры и на	основании решения	от
				зачислен и.о. мл.	научного сотрудника	19/I-1970г.
				сектора гор. транспорта	и дорог.	

6

СВЕДЕНИЯ О РАБОТЕ

№ записи	Дата: Год	Дата: Месяц	Дата: Число	Сведения о приеме на работе и увольнении	работу, пер…ениях по (с указанием …ции)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1	2				3	4
10	1971	05	17	Освобожден от занимаемой должности в порядке перевода в связи с переходом на другую работу.		Пр 30/к от 13/V-71г.
11	1971	V	25	Зачислен на должность главного инженера проекта в Гидроэнергетический отдел.	ГПИ "Гидроэнергопроект"	Пр. об 62 §1 от 25/V-1971г.
12	1972	III	1	В соответствии с приказом по Госстрою СССР от 14/II-72г. № 17 от 15.II переводится на должность старшего инженера-проектировщика Гидроэнергетического отдела.	ГПИ "Грузгидроэнергопроект"	Пр. об 22 §1 распоряжение от 25/II-72г.

Ст. инж. по кадрам [illegible] /Гегелашвили В.Н./

СВЕДЕНИЯ О ПООЩРЕНИЯХ И НАГРАЖДЕНИЯХ

№ записи	Дата: Год	Дата: Месяц	Дата: Число	Поощрения и награжден…	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
1	2			3	4
				ГПИ "Грузгидроэнергопроект"	
13	1972	03	1	Зачислен на работу в порядке перевода из ГПИ "Гидроэнергопроект" на должность начальника технического отдела	Пр. № 30 от 1.03.1972
14	1974	02	01	Освобожден от работы в связи с переводом в ГПИ "Грузгидроэнергопроект" и. о. начальника отдела кадров	в связи с переводом Пр. 19 от 27.01.74

работе

СВЕДЕНИЯ О ~~ПООЩРЕНИЯХ~~

раздел 1.3 (дополн.)

1	2			3	4
				Гос. инспектор „Госстройнадзора"	
15	1977	02	1	Зачислен по конкурсу на должность архитектурно-планировочного отдела	Пр. №12 от 3/II 22
16	1978	09	25	Освобожден от занимаемой должности в связи с переходом на другую работу	Начальник управления Госстройнадзора Ю.Ф. [illegible]

12

ცნობები მუშაობის შესახებ

1	2			3	4
				ГПИ им В.И. Ленина	
17.	1978	09	13	Зачислен на должность старшего преподавателя кафедры архитектурного проектирования	пр. 130 от 28/IX 1978 г.
	2003	09	01	გადაყვანილია ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე იმავე კათედრაზე	2003

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

9

დიპლომი

წარჩინებით

Н № 925834

ეს დიპლომი მიეცა მახვილაძეს
[illegible]

მასზე, რომ იგი 1955 წელს შევიდა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1960 წელს დაამთავრა აღნიშნული
ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო
და სამოქალაქო მშენებლობის

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1960 წ.
25 ივნისის გადაწყვეტილებით
რ. მახვილაძეს მიენიჭა
ინჟინერ-მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი (დირექტორი)

მდივანი

ქალაქი თბილისი 1960 წ. 23/VII

სარეგისტრაციო № 3364

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Н № 925834

Настоящий диплом выдан Махвиладзе
Ревазу Леонидовичу
в том, что он в 1955 году
поступил в Грузинский ордена Трудового
Красного Знамени политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1960 году окончил полный курс
названного института
по специальности промышленное
и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от 25 июня 1960 г.
Махвиладзе Р.Л.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор (директор)

Секретарь

М. П.

Город Тбилиси 23/VII 1960 г.

Регистрационный № 3364

Типография Гознака, 1958.

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

МТН № 060094

Москва 22 января 1971 г.

Решением
Совета Академии коммунального хозяйства им. К. Д. Памфилова
от 30 ноября 1970 г. (протокол №15/293)

Махвиладзе Реваза Леонидовича

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТА ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета

АТТЕСТАТ
ДОЦЕНТА

АЦ № 039793

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР
от 24 сентября 1980 г. (протокол № 38/49)

Махвиладзе Реваза Леонидовича

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ДОЦЕНТА

ПО КАФЕДРЕ

организации и механизации строительного производства

Председатель Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь Высшей аттестационной комиссии

საქართველოს საინჟინრო აკადემია

დიპლომი № 2-301

ქძლევა ბატონ

რევაზ მახვილაძეს

მასზედ, რომ 2011 წლის 23 სექტემბერს იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის **ნამდვილ წევრად** (აკადემიკოსად).

პრეზიდენტი — ა. ფრანგიშვილი

აკადემიის მდივანი — ი. გორგიძე

თბილისი, 2011

THE GEORGIAN ENGINEERING ACADEMY

DIPLOMA № 2-301

Is given to Mr.

Revaz Makhviladze

That in September, 23, 2011 he was elected as a **Full member (Academician)** of the Georgian Engineering Academy

President — **A. Prangishvili**

Academician-secretary — **I. Gorgidze**

Tbilisi, 2011

ცნობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის,
საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის)
რევაზ მახვილაძის 2011-2013 წლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციაზე შესრულებულ საექსპერტო დასკვნებზე
შენობების მდგრადობაზე და დემონტაჟზე

საპროექტო საქმიანობას ეწევა 1960 წლიდან დღემდე
საექსპერტო სამუშაოების ჩასატარებლად იწვევენ 1978 წლიდან

N	დამკვეთი	წელი	ობიექტის დასახელება
1	ამხანაგობა „რადიანი-10გ"	06.01.2011	ქ. თბილისში რადიანის ქუჩაზე №10გ მრავალსართულიანი სახლის საპროექტო დოკუმენტაციაზე
2	შპს "კნაუფგიფს თბილისი	15.04.2011	თბილისში ქიზიყის და ენუქიძის ქუჩაზე არსებული საწარმო კომპლექსის დაშლა–დემონტაჟზე
3	შპს "ფუდსერვისი"	25.05.2011	თბილისში, დიდ ლილოში ფუდსერვისის გადამამუშავებელი საამქროსა და შემნახველი საცავის საპროექტო დოკუმენტაციაზე
4	შპს "დიზაინ–დ"	24.05.2011	ქ. ზუგდიდი ხუბულავას ქუჩაძე წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციაზე
5	შპს "ელიტა ბურჯი"	24.06.2011	თბილისში ხმელნიცკის ქუჩაზე 42 ლითონ–კონსტრუქციების დამამზადებელი საამქაროს საპროექტო დოკუმენტაციაზე
6	შპს "გლდანი–11"	01.08.2011	თბილისში გლდანის I და II მ/რ შორის სავაჭრო ცენტრის კონსტრუქციულ მდგრადობაზე
7	შპს "ძველი თბილისი"	16.08.2011	თბილისში შავი ზღვის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის C ბლოკის კორექტირებულ პროექტზე
8	ფ/პ ვასილ სოხაძე	25.07.2011	თბილისში ნ. რამიშვილის ქუჩაზე 22 არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მანსარდის დაშენებაზე და აივნების მოწყობაზე
9	შპს "კნაუფგიფს თბილისი	25.08.2011	თბილისში ქიზიყის ქუჩაზე 17 თაბაშირ მუყაოს ფილების წარმოების მასალებისა და ნედლეულია საწყობის საპროექტო დოკუმენტაციაზე
10	შპს "აქსისი"	29.09.2011	ქ. თბილისში საბურთალოს ქუჩაზე 32 მშენებარე IV, V, VI, VII, VIII ბლოკების კორექტირებული პროექტების თაობაზე
11	შპს "დეკორი"	11.11.2011	ქ. თბილისში ბელიაშვილის ქუჩაზე სავაჭრო–საგამოფენო პავილიონის საპროექტო დოკუმენტაციაზე
12	შპს "ფინსერვისი–XXI"	31.10.2011	თბილისში სოლოლაკის ხეივანში მდებარე არსებული შენობის რეკონსტრუქცია–მიშენების საპროექტო დოკუმენტაციაზე
13	შპს "GOLD KREDITI"	18.11.2011	თბილისში დ. აღმაშენებლის გამზირზე 171 საოფისე შენობის რეკონსტრუქციაზე

14	შპს "ქართუ მენეჯმენტი"	27.12.2011	თბილისში კოჯრის გზატკეცილი 13 მშენებარე მრავალფუნქციური გასართობ–სამაყურებლო ცენტრის კორექტირებულ პროექტზე
15	შპს "ელიტა ბურჯი"	05.01.2012	თბილისში ბ. ხმელნიცკის ქუჩაზე 42 ლითონდამამზადებელი საამქროს კორექტირებულ პროექტზე
16	შპს "ქართუ ჯგუფი"	10.02.2012	თბილისში კოჯრის გზატკეცილი 13 მდებარე არსებული შენობის რეკონსტრუქციაზე სასტუმროდ
17	შპს "ძველი უბანი"	10.02.2012	თბილისში ერეკლე მე–2–ის მოედანზე და ყავლაშვილის ქუჩის კუთხეში მდებარე შენობის მდგრადობის საექსპერტო შეფასება
18	შპს "დიზაინ–დ"	10.02.2012	ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კომბინატის დასახლება"ში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე
19	შპს "პეგასი"	10.05.2012	ქ. ამბროლაურის ბრატისლავა–რიჩის ქუჩაზე საცურაო აუზი საპროექტო დოკუმენტაციაზე
20	შპს "დიზაინ–დ"	25.05.2012	ქ. ზუგდიდში ზ. გამსახურდიას გამზირზე №28 საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციაზე
21	შპს "SADS GROUP"	04.08.2012	ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე
22	სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტი	27.0.2012	ტყიბულში სპორტის სასახლის დასაშლელ სამუშაოებზე საექსპერტო დასკვნა
23	ს/ს "სპეცჰიდრომშენი"	14.12.2012	ღრმაღელის საფილტრე სადგურის თბილისის ზღვის პირველი აწევის სატუმბო სადგურიდან III მიმღებ კამერამდე შემწოვი მილების მოწყობის საიმედოობაზე
24	შპს "ლუქს–დეველოპმენტი"	05.01.2013	თბილისში ფალიაშვილის ქუჩაზე 23 არსებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის დაშლაზე
25	შპს "NGS GROUP"	18.01.2013	თბილისში ამაღლების ქუჩაზე 47 მდებარე მშენებარე მრავალსართულიანი შენობის დემონტაჟზე
26	ი/მ გენრიხ კარსანიძე	15.06.2013	ყვარლის მუნიციპალიტეტის მდ. ბურსის ნაპირსამაგრ და სოფელ შაქრიანის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციაზე
27	ი/მ გენრიხ კარსანიძე	17.06.2013	ყვარლის რაიონის სოფლების წიწკანაანთსერი, ახალსოფელი, საბუე, ბალღოჯიანი, გრემი, ალმათი, ენისელი-წყალსადენის ქსელების რეაბილიტაციაზე
28	შპს "ბიზნეს ჯგუფი"	12.10.2013	ხარჯთაღრიცხვასა და ფორმა 2–ზე საექსპერტო–ტექნიკური დასკვნის მომზადება
29	შპს "ბიზნეს ჯგუფი"	10.11.2013	ხარჯთაღრიცხვასა და ფორმა 2–ზე საექსპერტო–ტექნიკური დასკვნის მომზადება

ექსპერტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის
პროფესორი, საინჟინრო აკადემიის
ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

რევაზ მახვილაძე
20 ნოემბერი 2013 წელი

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

საბანკო გარანტია № 1944249-8657199

1426/109-42

ცვლილება

ქალაქი თბილისი

2018 წლის 28 სექტემბერი

პრინციპალი: შპს 'სისტემ ნეტ'
ბენეფიციარი: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
გარანტი: ს.ს. "თიბისი ბანკი"

ცვლილება შედის ს.ს. "თიბისი ბანკი"ს მიერ 2016 წლის 12 დეკემბერს გაცემულ საბანკო გარანტიაში N 1944249-8657199, კერძოდ შეიცვალა საბანკო გარანტიის თანხა და განისაზღვრა 1 170 000 (ერთი მილიონ ასსამოცდაათი ათასი) ლარით.

საბანკო გარანტიის # **1944249-8657199** ყველა სხვა პირობა უცვლელია.

ს.ს. "თიბისი ბანკი"ს დირექტორის მინდობილი პირი გიორგი შიხაშვილი / ---------- /

საქართველო, 0102 თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. #7

7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia

ტ/T: (+995 32) 227 27 27
ფ/F: (+995 32) 277 27 74